სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 დეკემბერი, 2025 წელი

ბრძანება №01-08/892

გარე მობილობის ფარგლებში სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე **,,აღმზრდელი“ (მე-5 დონე)** პროფესიულ სტუდენტ **ლალი გიორგაძის ჩარიცხვის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №98/ნ ბრძანების, ლალი გიორგაძის 2025 წლის 04 დეკემბრის №1729941 განცხადების, ,,ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ,,აღმზრდელი (მე-5 დონე) სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანისათვის **გარე მობილობის გამოცხადების შესახებ“** ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 28 ნოემბრის №01-02/214 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანების, "ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის იაპონიაში, ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 2 დეკემბრის №01-14/679 ,,ბსუ - ს პროფესიულ პროგრამაზე "აღმზრდელი" გარე მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 11 დეკემბრის №01-02/223 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის №1776417 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტი“, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ (მე-5 დონე) პროფესიული სტუდენტი, ათვისებული ,,0“ კრედიტი) გარე მობილობის ფარგლებში ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე **,,აღმზრდელი“ (მე-5 დონე)** ჩაირიცხოს პროფესიული სტუდენტი **ლალი გიორგაძე** (პ/ნ:).
2. ბსუ-ს პროფესიულმა სტუდენტმა **ლალი გიორგაძემ** ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ,,აღმზრდელი“ (მე-5 დონე) სწავლა გააგრძელოს 2025 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიულ სტუდენტებთან ერთად (2025 წლის 15 დეკემბრიდან).
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით ჩარიცხული პირისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და

უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე სასწავლო
და სამეცნიერო მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**